თვალსაზრისი
OPINION

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი
დამოუკიდებელი მკვლევარი, ისტორიის დოქტორი

ვინ არის ბრიტანული ეპიგრაფიკული წყაროების BACVRA?

გვიანანტიკური ხანის რომაულ-ბერძნული წყაროებიდან ისტორიოგრაფიისთვის ცნობილი მეტად საინტერესო ქართველი მოღვაწის, ბაკურ იბერიელის შესახებ მნიშვნელოვანი, მაგრამ ფრაგმენტული და წინააღმდეგობრივი ცნობები შემოგვრჩა. წინამდებარე სტატიის მიზანია, ბრიტანული არქეოლოგიურ-ეპიგრაფიკული მასალების მიხედვით აღადგინოს მისი ცხოვრების გარკვეული პერიოდი (368-378 წწ.) და მისი კავშირები იმდროინდელ რომაულ სამხედრო და პოლიტიკურ ელიტასთან.

2010 წელს დაიბეჭდა ჩემი სტატია სათაურით „თემისტიოსი და ბაკურ იბერიელის რომაული სამხედრო კარიერის დასაწყისი", სადაც, რამდენიმე დასავლელი მკვლევრის კვალდაკვალ, ანტიკური და ქართული წყაროების ცნობათა შეჯერების საფუძველზე ვამტკიცებდი, რომ ბაკურ იბერიელი რომაულ სამხედრო სამსახურში უნდა შესულიყო არა უგვიანეს 368 წლის მარტისა, როგორც იმპერატორ ვალენტის (364-378) პირადი დაცვის საპატიო წევრი, ე. წ. protector domesticus. ამის თქმის საფუძველს IV ს-ის ცნობილი ფილოსოფოსისა და რიტორის, თემისტიოსის VIII სიტყვა (oratio) იძლევა, სადაც საუბარია რომის იმპერიაში აღმოსავლეთიდან გადმოხვეწილი უფლისწულის შესახებ, რომელსაც უარი უთქვამს მემკვიდრეობით კუთვნილ სამეფო ძალაუფლებაზე და იმპერატორ ვალენტის სამსახურში ჩამდგარა. როგორც თემისტიოსის სიტყვებიდან ჩანს, იმპერია განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა ამ კაცზე აღმოსავლეთში მომავალი გამარჯვებების საქმეში. ეს სიტყვა თემისტიოსმა ვალენტის ზეობის მეხუთე წლისად-

მი მიძღვნილ ზეიმზე (Quinquennalia), 368 წლის 28 მარტს წარმოთქვა.[1]

წყაროების დამატებითი კვლევის შედეგად, აღნიშნული პერიოდის ქართლის ისტორიული სინამდვილის რეკონსტრუქციის ჩემეული ვერსია ასეთია: სპარსეთის მეფე შაპურ II-მ, კავკასიაში წარმოებული საომარი მოქმედებების დროს, 367-368 წლის ზამთარში, ქართლში რომის მიერ დასმული მეფე სავრომაკე აიძულა, ქვეყანა დაეტოვებინა. მის ნაცვლად, შაჰს ქართლის ხელმწიფობა სავრომაკეს შემდეგ ტახტის პირდაპირი და კანონიერი მემკვიდრისთვის, ბაკურისთვის უნდა შეეთავაზებინა, რომელიც, დიდი ალბათობით, გაძევებული მეფის უმცროსი ძმა უნდა ყოფილიყო. ბაკურმა სპარსეთის პროტექტორატის ქვეშ სამეფო ძალაუფლების მიღებაზე ნებაყოფლობით თქვა უარი. მის ნაცვლად შაჰმა ქართლის ტახტზე სამეფო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენელი, ასფაგური / ვარაზ-ბაკური დასვა, ხოლო ბაკური რომაელების სამხედრო სამსახურში გადავიდა, სადაც ჩარიცხულ იქნა იმპერატორის პირადი დაცვის საპატიო წევრად. აღნიშნული წოდებით უნდა დაწყებულიყო ახალგაზრდა ქართველი უფლისწულის ხანგრძლივი (საუკუნის მეოთხედზე ოდნავ მეტი) რომაული კარიერა.[2]

ამის შემდეგ, 10 წლის განმავლობაში, ბაკურის ცხოვრების შესახებ არავითარი ცნობები აღარ გვაქვს. ის კიდევ ერთხელ გამოჩნდება ამიანუს მარცელინუსთან მხოლოდ 378 წელს, 9 აგვისტოს, რომის არმიასა და გოთებს შორის გამართულ ადრიანოპოლის ბრძოლაში,[3] როგორც საიმპერატორო რაზმის / Schola palatina ერთ-ერთი დანაყოფის, კერძოდ კი Schola Scutariorum Sagittariorum-ის ტრიბუნი – tribunus sagittariorum.[4] ამ ბრძოლაში იმპერატორმა ვალენტიმ სრული მარცხი განიცადა და სიცოცხლეც იქვე დაასრულა, რის შემდეგაც აღმოსავლეთ რომის ტახტს თეოდოსი I დიდი იკავებს (379 წლის 19 იანვარს) და ბაკურის რომაულ სამხედრო კარიერაშიც სხვა, ახალი ეტაპები იწყება: 380-იან წლებში ის სასაზღვრო პროვინციის, პალეტსინის დუქსი / Dux Palaestinae ხდება, დაახლ. 391/392 წლებში ის დომესტიკოსთა კომსია / Comes domesticorum და, სავარაუდოდ, 394 წელს – არმიის მაგისტრი / Magister militum vacans.[5]

1 ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი, „თემისტიოსი და ბაკურ იბერიელის რომაული სამხედრო კარიერის დასაწყისი", *ქართული წყაროთმცოდნეობა XII*, „უნივერსალი" (2010): 30-40.

2 ნიკოლოზიშვილი, 30-40.

3 Amm. Marc. 31.12.16.

4 David Woods, "Subarmachius, Bacurius, and the Schola Scutariorum Sagittariorum", *Classical Philology* 91, no. 4 (October 1996): 365-371

5 John Robert Martindale, Arnold Hugh Martin Jones and John Morris. Eds. *The Prosopography*

როგორც ვხედავთ, თეოდოსი დიდის მეფობის ხანაში ბაკურის კარიერა საკმაოდ წარმატებულია და იგი უმაღლეს სამხედრო თანამდებობებს იკავებს, მაშინ, როდესაც ვალენტის მეფობაში მას protector domesticus-ობიდან tribunus sagittariorum-მდე მიუღწევია და ისიც ვალენტის მეფობის ბოლო წელს, როგორც ეს არსებული წყაროებიდან გამომდინარეობს. თუ როდის და რა ვითარებაში უნდა მიეღო ბაკურს tribunus sagittariorum-ის წოდება, ამ საკითხს ოდნავ მოგვიანებით დავუბრუნდები. მანამდე კი მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო ორ ბრიტანულ ეპიგრაფიკულ წყაროს, რომლებიც, ჩემი აზრით, ბაკურის რომაული სამხედრო სამსახურის ერთი ადრეული ეპიზოდის აღდგენის საშუალებას იძლევა.

1895 წელს, ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნორთამბერლენდის (Northumberland) საგრაფოში, ცნობილი ადრიანეს კედლის რომაული საფორტიფიკაციო კომპლექსის, ესიკას / Aesica (დღევანდელი Great Chesters) არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი იქნა ტერა სიგილატას (Terra sigillata[6]) ტიპის (ფორმა დაუდგენელია) კერამიკული ჯამის ფრაგმენტი ლათინური გრაფიტით, რომელსაც თავდაპირველად კითხულობდნენ, როგორც „დაკურა“ / DACVRA (სურ. 1).[7]



სურ. 1

მოგვიანებით, ბრიტანეთის რომაულ წარწერათა ცნობილმა მკვლევარმა, რიჩარდ რაითმა, ყურადღება მიაქცია, რომ აღნიშნულ

of the Later Roman Empire (ქვემოთ ყველგან: PLRE). Volume I, A.D. 260-395. Cambridge University Press, 1971, 144; D. Hoffmann. "Wadomar, Bacurius und Hariulf, Zur Laufbahn adliger und fürstlicher Barbaren im spätrömischen Heere des 4. Jahrhunderts", *Museum Helveticum Bd 35* (1978): 316.

6 ამ ტიპის კერამიკის შესახებ იხ. Felix Oswald, Thomas Davies Pryce, *An Introduction to the Study of Terra Sigillata Treated from a Chronological Standpoint,* London, New York: Longmans, Green and Co., 1920; Gunnar Fülle, *The Organization of Mass Production of Terra Sigillata in the Roman Empire: Problems of Evidence and Interpretation.* A thesis submitted in fulfillment of the degree of Doctor of Philosophy. University of Oxford, Brasenose College, Trinity Term, 2000.

7 Proceedings of the Society of Antiquaries of Newcastle-Upon-Tyne, vol. VII (January, 1895-December, 1896), (Society of Antiquaries of Newcastle upon Tyne, 1897): 97, 98 (Fig. 7); Gibson J. P. "On Excavations at Great Chesters (Aesica) in 1894, 1895, and 1897", *Archaeologia Aeliana,* 2nd series, 24, (1903): 40 (Fig. 1); General index to the publications of the Society of antiquaries of Newcastle-upon-Tyne, from A.D. 1895 to A.D. 1924 (Society of Antiquaries of Newcastle upon Tyne, 1925), 115.

წარწერაში D-ს ნაცვლად საქმე გვაქვს შებრუნებულ b-სთან და წარწერა წაკითხული უნდა იქნას, როგორც „ბაკურა“ / BACVRA. მანვე მიაქცია ყურადღება სახელის შესაძლო კავშირს ქართული ბაკურის ლათინურ ფორმასთან – Bacurius. ეს ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც 1938 წელს, ინგლისის მეორე, კიდევ ერთ რომაულ ციხე-ქალაქ დევაში (Deva. დღევანდელი Chester) აღმოჩენილი იქნა აღმოსავლურგალური (East Gaulish) ტერა სიგილატას ტიპის Dr. 37 ფორმის კერამიკული ჯამის ნატეხი ანალოგიური წაწერით – BACVRA (სურ. 2[8]).



სურ. 2

მიუხედავად ამ ორი წარწერის კალიგრაფიის აშკარა სხვაობისა, დევას წარწერის აღმოჩენამ გაამყარა აზრი, რომ ესიკას წარწერაში მართლაც შებრუნებული, კურსივის ფორმის b გვაქვს და წარწერა წაკითხული უნდა იქნას როგორც BACVRA და რომ ის კავშირში უნდა იყოს ქართულ Bacurius-თან.[9]

Aesica-ში ნაპოვნი კერამიკული ფრაგმენტი, როგორც ჩანს, იმდენად მცირეა, რომ მისი ტიპისა და ფორმის დადგენა შეუძლებელია. ალბათ სწორედ ამიტომ, მეცნიერები ამ საკითხს არც შეხებიან. რაც შეეხება Deva-ს ფრაგმენტს, აქ ნათელია, რომ საქმე გვაქვს აღმოსავლურგალური ტერა სიგილატას ტიპის Dragendorff 37 (შემოკლებით Dr. 37 ან Drag. 37) ფორმის კერამიკულ ჯამთან. ამ ფრაგმენტის დათარიღების საკითხი განხილული აქვს რობერტ ნიუსტედს (R. Newstead). მას მოჰყავს ფელიქს ოსვალდის მოსაზრება, რომელიც, ჭურჭლის ფრაგმენტზე შემორჩენილი დეკორის (სურ. 3) საფუძველზე მას ტრირში (Treves), MAIIAAVS-ის სახელოსნოში დამზადებულად მიიჩნევს. თავის შრომაში – Index of Potters' Stamps (p. 178) ფ. ოსვალდი ამ სახელოსნოს აქტივობის პერიოდად ანტონინუსის იმპერატორობის (138-161 წწ.)

8 სურ. 2 და სურ. 3 ქვეყნდება შემდეგი გამოცემიდან: R. Newstead, "Records of archaeological finds", Journal of Chester Archaeological Society, vol. 36 (ii) (1948).

9 Wright R. P. "Roman Britain in 1939: I. Sites Explored: II. Inscriptions", *The Journal of Roman Studies,* vol. 30, Part 2 (1940): 188-189; Collingwood R. G. and Wright R. P. The Roman Inscriptions of Britain, vol. II, Instrumentum Domesticum (Personal Belongings and the Like). Fascicule 7, Graffiti on Samian Ware (Terra Sigillata) (RIB 2501) (1995): 31, 2501.94, 2501.95.

გვიანდელ ხანასა და მესამე საუკუნეს (Late Antonine into Third Century) განსაზღვრავს, ხოლო ტრირში კერამიკული ჭურჭლის დამზადების პერიოდად – 110-240 წლებს. თუმცა, საბოლოოდ, რ. ნიუსტედი დაასკვნის, რომ Deva-ს ეს გამორჩეული არტეფაქტი უეჭველად უფრო გვიანდელია (This is an exceptional find for Chester. ... Our example is obviously a late product of that site).[10] რა ნიშნით მივიდა ის ამ დასკვნამდე, ჩემთვის მთლად ნათელი არ არის, თუმცა, შესაძლოა მას ამ საკითხზე აზრი სხვაგანაც აქვს გამოთქმული, რომელიც ჩემთვის უცნობი დარჩა. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი კვლევების თანახმადაც, უფრო სავარაუდოა, რომ ტრირის სახელოსნოები Dr. 37 ფორმის კერამიკულ ჭურჭელს III საუკუნის ბოლომდე უშვებდნენ.[11]

სურ. 3

როგორც ვნახეთ, Deva-ს კერამიკული ფრაგმენტის წარმოშობა III საუკუნის შუა წლებიდან III საუკუნის ბოლომდე უნდა განისაზღვროს. ლოგიკურად, ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს Aesica-ს ფრაგმენტიც, მასზე ამოტვიფრული სახელიდან გამომდინარე.

10 Newstead, 79-80 (Fig. 9.2). ამ მასალის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდი დოქტ. პიტერ კარინგტონს (Peter Carrington), ჩესტერის არქეოლოგიური საზოგადოების (Chester Archaeological Society) ვიცე-პრეზიდენტს.

11 Martin Frey, "Die letzten Reliefsigillaten aus Trier und ihre Zeitstellung." In *Forschungen zur römischen. Keramikindustrie, Produktions-, Rechts- und Distributionsstrukturen,* Akten des 1, ed. K. Strobel, *Trierer Symposiums zur antiken Wirtschaftsgeschichte, Trierer historische Forschurigen* 42 (Mainz 2000): 209-18. მითითებულია სტატიიდან: Sofie Vanhoutte, "Wouter Dhaeze and Wim De Clercq, The pottery consumption c AD 260-70 at the Roman coastal defence fort, Oudenburg, Northern Gaul", *Journal of Roman Pottery Studies,* vol. 14, ed. Pamela V Irving and Steven Willis, Oxbow Books (July 21, 2009), 106.

გარკვეული სირთულე ახლავს აღნიშნული გრაფიტების დათარიღების მცდელობას პალეოგრაფიული ნიშნებითაც. ეს ნიშნები არ იძლევა გადაჭრით რაიმეს მტკიცებისა და ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევის საშუალებას. ამ საკითხზე 2017 წელს კონსულტაციისთვის მივმართე ვარშავის უნივერსიტეტის პაპიროლოგ-ეპიგრაფიკოსებს, პროფ. ადამ ლაიტარსა (Adam Łajtar) და პროფ. ტომაშ პლუჩიენიკს (Tomasz Płóciennik), რომელთა თქმითაც, ჩვენი წარწერების ცალკეული პალეოგრაფიული ნიშნები (მაგ, შებრუნებული b) დამახასიათებელია ფართო ქრონოლოგიური ჩარჩოსთვის, ძვ. წ. აღ.-ით I საუკუნიდან ახ. წ. აღ.-ით V საუკუნემდე, თუმცა ისინი უფრო გვიანდელის შთაბეჭდილებას ტოვებენ. 2019 წელს, საკითხის დაზუსტების მიზნით, კონსულტაციისთვის მივმართე დოქტ. ანდრეი ტიმოტინს (Andrei Timotin), რუმინეთის აკადემიის სამხ.-აღმ. ევროპის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს და კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტს, რომელმაც ასევე ხაზი გაუსვა საკითხის სირთულეს, მიანიშნა წარწერებში მთავრულიდან კურსივული წერის მანერაზე გადასვლის ტენდენციაზე და ისინი დაახლოებით IV საუკუნით, ან, შესაძლო V საუკუნით დაათარიღა.[12]

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ Deva-ში და Aesica-ში ნაპოვნი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, არქეოლოგიური მონაცემებით, III საუკუნის შუა წლებით ან მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს, ხოლო მათზე ამოტვიფრული გრაფიტები, პალეოგრაფიული ნიშნებით, შეიძლება IV საუკუნით დავათარიღოთ. შესაბამისად, გასარკვევია ორი საკითხი: რა სახელია BACVRA და რა კავშირში შეიძლება იყოს რომაულ-ბერძნული წყაროების Bacurius-თან და, შესაბამისად, ქართულ ბაკურთან?

ზემოთ უკვე ითქვა, რომ რიჩარდ რაითი და სხვები სახელ Bacurius-თან აკავშირებენ გრაფიტების BACVRA-ს, თუმცა რა ფორმა უნდა იყოს უკანასკნელი ამ ცნობილი სახელისა, მათ ამის ახსნა არ უცდიათ და ეს ბუნებრივიცაა, რადგან, ჩემი აზრით, BACVRA უნდა იყოს ქართული ბაკურ-ის კნინობით-ალერსობითი ფორმა. ვფიქრობ, რომ ამ ფორმის ახსნა არა ლათინურ, ან ბერძნულ, არამედ სწორედ ქართული ენისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით არის შესაძლებელი.

12 ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორებს, ადამ ლაიტარს, პროფ. ტომაშ პლუჩიენიკს და რუმინეთის აკადემიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ინსტიტუტის დირექტორს, დოქტ. ანდრეი ტიმოტინს გაწეული დახმარებისთვის. საკითხისათვის იხ. Edward Maunde Thompson, *An introduction to Greek and Latin palaeography* (Oxford: Clarendon Press, 1912); Henry Bartlett Van Hoesen, *Roman Cursive Writing,* (Princeton: Princeton university press, 1915); Luigi Schiaparelli, *La scrittura latina nell' età romana,* Como: Tipografia editrice Ostinelli, di C. Nani & c., 1921).

-ა სუფიქსი, როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულ ენაში კნინობით-ალერსობითი ფორმების მაწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სუფიქსია. ეს ეხება როგორც საზოგადო სახელებს, ასევე ანთროპონიმებსაც. ა. შანიძეს მიაჩნდა, რომ ძველ ქართულ ენაში მაწარმოებელი -ა სუფიქსი -აკ სუფიქსში კ-ს მოკვეცით არის მიღებული და „ასეთი სახელები გადავიდა ხმოვანზე ფუძეზე-გათავებულთა რიგებში". შანიძეს ამ რიგის სახელებს შორის განხილული აქვს „ქალა" > „ქალაჲ",[13] რომლის უძველესი წერილობითი დადასტურება გვაქვს ადიშის ოთხთავში (897 წ.), სადაც „ქალი"-ს კნინობითი ფორმა „ქალა" ბერძნულ სიტყვას κοράσιον (= გოგო, ყმაწვილი ქალი) გადმოსცემს: „ქალა, შენ გეტყჳ: აღდეგ!"[14] სახარების მოგვიანო რედაქციებში „ქალა" ჩანაცვლებულია ნეიტრალური მნიშვნელობის „ყრმაო"-თი: „შენ გეტყჳ, ყრმაო, აღდეგ!" (მარკ. 5:40-42). კნინობითი ფუნქციით ჩანს ნახმარი ქართულ ძველ აღთქმაში -ა სუფიქსიანი სახელები „ჭაბუკა" და „ქათამა".[15]

ზ. სარჯველაძის დაკვირვებით, -ა სუფიქსიანი კნინობითი სახელები ქართულ სალიტერატურო წერილობით ძეგლებში IX საუკუნიდან დასტურდება.[16] ზოგადად, ქართულ სალიტერატურო ენაში კნინობით-ალერსობითი ფორმები ნაკლებად არის გავრცელებული და ის უფრო ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი და სწორედ ამით აიხსნება V-XI საუკუნეების სალიტერატურო-სასულიერო ენის ძეგლებში მათი სიმცირეც. ამ პერიოდის ძეგლებში გვხვდება -ა სუფიქსის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა, უფრო ხშირად კი – -აკ სუფიქსის გამოყენებისა. -ak ფართოდ გავრცელებული სუფიქსია საშუალო სპარსულში, რომელიც ახალ სპარსულში ā-ს იძლევა (-ak > ah > ā). აქედან გამომდინარე, სპარსული -აკ და -ა სუფიქსიანი სიტყვები ქართულში შეიძლება სხვადასხვა დროს იყოს შემოსული, თუმცა, არაა გამორიცხული, -ა სუფიქსიანი სიტყვები ქარ-

13 აკაკი შანიძე, *ძველი ქართული ენის გრამატიკა*, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976): 51; თანამედროვე ქართულში კნინობითის მაწარმოებელი -ა სუფიქსის შესახებ იხ. აკაკი შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973): 120-121; საკითხის შესწავლის ისტორიისათვის იხ.: ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, „ალერსობით-კნინობითი სახელების შესწავლის ისტორიისათვის", *ქართველური მემკვიდრეობა* IX, (2005): 352-356.

14 ადიშის ოთხთავი, ზ. სარჯველაძის რედაქციით, (თბილისი: საქართველოს მაცნე, 2003): 245.

15 არამ მარტიროსოვი. „კნინობითი სახელები ძველ ქართულში", *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება* XX, (1978): 109-110.

16 ზურაბ სარჯველაძე, *ძველი ქართული ენა* (თბილისი: საქართველოს მაცნე, 2004): 179.

თულ ნიადაგზეც მიგვეღო[17] (სხვათა შორის, კნინობით-ალერსობითი ā სუფიქსი გვაქვს არამეულშიც, მაგ. Artaba[18]). სახელი ბაკური (აქედან > ბაქარი) ქართულში საშუალო სპარსულიდან (*baγpuhr) არის შემოსული[19] და ვფიქრობ, „ბაკურა“ ფორმა თავისუფლად შეიძლებოდა ქართულის ნიადგაზე გაჩენილიყო.

რაც შეეხება -ა სუფიქსით ნაწარმოებ კნინობით-ალერსობით ანთროპონიმებს, ამის პირველი წერილობითი მაგალითი კიდევ უფრო ძველია, კერძოდ, 853 წლით დათარიღებულ ატენის სიონის წარწერაში (ბუღა თურქის მიერ თბილისის დაწვის შესახებ) გვაქვს სახელი „კახაჲ“, რაც იმ დროის ცოცხალი მეტყველების ასახვაა. სახელი „კახაჲ“ მიღებულია კნინობითი -ა სუფიქსისა და სახელობითი ბრუნვის ნიშნის ჲ-ს დართვით.[20] რამდენიმე მაგალითი გვხვდება X ს-ის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებშიც, რომლებიც VIII-IX საუკუნის რეალიებს ასახავენ. მაგალითად, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში დადასტურებულია საერო პირთა სახელები „კუპრა“ და „წერტა“, ხოლო სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში – სახელი „სულა“. აქ ადამიანის საკუთარი სახელი ნაწარმოებია კნინობითის [ა სუფიქსით, [ა დერივატია, მაწარმოებელი ალერსობითობისა, რომლის დართვამ სიტყვა საკუთარ სახელთა თანრიგში გადაიტანა.[21]

ამ დროიდან მოყოლებული, ჩვენამდე შემონახულ საერო ხასიათის ძეგლებში სულ უფრო და უფრო მეტი [ა სუფიქსიანი კნინობითი საკუთარი სახელი გვხვდება. მათ შორის არის როგორც საკუთრივ ქართული წარმოშობის, ასევე ბერძნული და სპარსულ-არაბული სახელებიდან ნაწარმოები კნინობითი ფორმები, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლით აქ სამაგალითოდ: ქართული წარმოშობის – ბერა, გულა, ლომა, მარცვალა და სხვა; ბერძნული წარმოშობის – ალექსა, ბასილა, გიორგა, ნიკოლოზა და სხვა; სპარსულ-არაბული

17 მარტიროსოვი, 120.

18 Philip Huyse, Iranische Namen in den griechischen Dokumenten Aegyptens. *Iranisches Personennamenbuch,* Band V, Faszikel 6a (Wien: Verlag der Osterreichischen Akademie der Wissenschaften, 1990), 23 და Zadok, R. Review of Huyse, Ph. 1990. Iranische Namen in den griechischen Dokumenten Aegyptens. IPNB, 5/6a. Vienna. BiOr 43, 491 (მითითებულია სტატიიდან: Ran Zadok, Old iranian anthroponyms and related material in late babylonian sources, *Revue d'assyriologie et d'archéologie orientale* 98 (2004), 114.

19 მზია ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან,* I (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1966): 443-445, 448.

20 კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე. *ქართული პალეოგრაფია* (თბილისი: ნეკერი, 1997): 39.

21 დარეჯან კირთაძე, *საკუთარი სახელი ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში (V-X სს.)*, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია (თბილისი, 2009): 12, 164.

– ბეჟანა, ბეშქენა, გოდერძა, ზურაბა, ლაშქარა და სხვა. მათ შორის არის ჩვენთვის საინტერესო „ბაკურა", კერძოდ, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მონაცემებით, 1595 წელს, სახელების – ბაკურისა და ბაქარის გვერდით დადასტურებულია სახელი „ბაკურა."[22] კნინობითი ფორმის „ბაკურა"-დან არის ნაწარმოები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საკმაოდ გავრცელებეული გვარები – ბაკურა(ს) შვილი და ბაკურაძე.[23]

ამ მსჯელობის შემდეგ, ვნახოთ, ვინ შეიძლება იყოს ამ წარწერებში მოხსენიებული ბაკურა / ბაკური, რომელ ისტორიულ პიროვნებასთან შეიძლება გვქონდეს საქმე, როგორც ქრონოლოგიური (III ს-ის შუა ხანები – V ს), ისე ისტორიული თვალსაზრისით?

საქმე ისაა, რომ ამ პერიოდის რომაული პროსოპოგრაფია 260 წლიდან 527 წლამდე იცნობს მხოლოდ ერთ ბაკურს, ბაკურ იბერიელს, იმპერატორების – ვალენტისა და თეოდოსი დიდის თანამედროვეს და თანამებრძოლს, რომელიც რომაულ-ბერძნულ წყაროებში 368-394 წლებს შორის ჩანს, როგორც უმაღლესი რანგის რომაელი სამხედრო მოღვაწე.[24]

როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ბაკურმა 368 წელს დაიწყო თავისი რომაული სამხედრო კარიერა protector domesticus-ის სტატუსით და 378 წელს Schola palatina ერთ-ერთი დანაყოფის ტრიბუნად მოგვევლინა. მაგრამ თეოდოსი დიდის გამეფებიდან, 379 წლიდან, იწყება სწრაფი კარიერული ზეაღსვლა: იგი ჯერ ხდება პალესტინის დუქსი (Dux Palaestinae), შემდეგ დომესტიკოსთა კომსი (Comes domesticorum) და, სავარაუდოდ, არმიის მაგისტრიც (Magister militum vacans).[25] ბაკური თან ახლდა 394 წლის სექტემბერში თეოდოსი დიდს მის უკანასკნელ ბრძოლაშიც, ტირან ევგენიუსის და არბოგასტის წინააღმდეგ, მდ. ფრიგიდუსთან (ისტორიკოს ზოსიმეს ცნობით, ბაკური თითქოსდა ამ ბრძოლაში დაიღუპა, მაგრამ ამ საკამათო თემის განხილვას სამომავლოდ გადავდებ. ფრიგიდუსის ბრძოლიდან რამდენიმე თვეში,

22 მარიკა ჯიქია, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის ანთროპონიმია", *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, VII (2013): 67.

23 „ბაკურა". *პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით*, I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, (თბილისი: მეცნიერება, 1991): 382-84. გვარი ბაქრაძე მიღებული უნდა იყოს შემდეგი გზით: ბაკური > ბაქარი > ბაქარა > ბაქ[ა]რაძე.

24 იხ. PLRE. I, A.D. 260-395 (Cambridge, 1971): 144 და PLRE, II, A.D. 395-527 (Cambridge, 1980). აღსანიშნავია, რომ ამ ქრონოლოგიური ჩარჩოს არც წინა და არც შემდგომ-დროინდელი ამავე სახელის მქონე ისტორიული პირების დაკავშირება ბრიტანეთის გრაფიტებთან ისტორიული თვალსაზრისითაც შეუძლებელია.

25 PLRE, I, p. 144; Hoffmann, 316.

395 წლის 17 იანვარს, წყალმანკისაგან გარდაიცვალა თეოდოსი დიდი). ბუნებრივია, ბაკურის სწრაფი კარიერული წარმატება თეოდოსის ზეობაში მხოლოდ და მხოლოდ მის ნიჭზე არ იქნებოდა დამოკიდებული, ამისთვის მას იმპერატორის პირადი ნდობაც უნდა ჰქონოდა და მეტიც, რუფინუსი, რომელიც უშუალოდ, შესანიშნავად იცნობდა ბაკურს, აღნიშნავს, რომ ის თეოდოსის მეგობარი იყო ("socius Theodosii". Rufin. II. 33).

ალბათ, სწორედ ბაკურისადმი ამ ორი იმპერატორის პირადი დამოკიდებულებით უნდა აიხსნას ბაკურის კარიერული წინსვლის არათანაბარი ტემპი: უფრო მოკრძალებული – ვალენტის მეფობისას, ხოლო უფრო სწრაფად აღმავალი – თეოდოსი დიდის მეფობისას, თუმცა, პირველის შემთხვევაში, საფიქრებელია, იყო გარკვეული ობიექტური გარემოებებიც. კერძოდ, ამიანუს მარცელინუსი 374-377 წლებში ფაროსანთა ტრიბუნის (tribunus scutariorum) თანამდებობაზე ასახელებს ვინმე ბარზიმირესს (Barzimeres), რომელიც 377 წელს დიბალტუმთან (ლათ. Dibaltum, ბერძ. Δεβελτός; ნაქალაქარი, დღევ. სოფ. Дебелт ქ. ბურგასთან, ბულგარეთში) გოთების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა.[26] ამ ბარზიმირესის ეთნიკური კუთვნილება დღემდე მსჯელობის საგანია: მარკვარტი ამიანუს მარცელინესთან ნახსენებ სახელს – Barzimeres – სპარსული წარმოშობისად თვლიდა და პეტრე იბერიელის „ცხოვრების" სირიულ ვერსიაში მისი მამისა და პაპის (მამის მხრიდან) სახელებთან აკავშირებდა, რომელსაც იგი კითხულობდა, როგორც Busmerios (R. Raabe-ს და C. A. Horn-ს წაკითხვით: Bosmarios, გ. წერეთლის წაკითხვით: Busmirios[27]). მეტიც, იგი მარცელინეს Barzimeres-ს პეტრე იბერის პაპასთან, ბუზმიჰრთან აიგივებდა.[28] სახელის – Barzimeres სპარსულ წარმოშობას იზიარებდა გიორგი წერეთელიც და მას, ერთის მხრივ, ეტიმოლოგიურად აკავშირებდა პეტრე იბერის მამისა და პაპის სახელებთან, ხოლო მეორე

26 Amm. Marc. 30. 1. 11, 16; 31. 8. 9-10; PLRE, I, p. 148.

27 Petrus der Iberer: ein Charakterbild zur Kirchen und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts. Syrische Übersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie. Herausgegeben und übersetzt von Richard Raabe (Lepzig, 1895): 15; John Rufus: The Lives of Peter the Iberian, Theodosius of Jerusalem, and the Monk Romanus, edited and translated by Cornelia B. Horn (Society of Biblical Literature, Atlanta, 2008): 7, 29–31; გიორგი წერეთელი, *უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან* (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960): 20.

28 Josef Markwart, "Die Bekehrung Iberiens und die beiden ältesten Dokumente der iberischen Kirche", Caucasica 7 (1931): 127. მითითებულია ს. ყაუხჩიშვილის და გ. წერეთლის მიხედვით: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 1 (თბილისი, 1961): 91; წერეთელი, 20. Josef Markwart, "Südarmenien und die Tigrisquellen nach griechischen und arabischen Geographen", *Studien zur armenischen Geschichte* 4 (Wien: Mechitharisten-Buchdruckerei, 1930).

მხრივ – ბორის ვერცხლის პინაკის (II ს. მეორე ნახ.) არმაზულ-არამეულ წარწერასთან, სადაც ნახსენებია „ბუზ-მიჰრ კეთილი პიტიახში“ (bwz myhr byṭy'χš ṭb').[29] სპარსულ Burzmihr-თან აკავშირებდა მარცელინუსის Barzimeres-ს ჰ. ჰუმბახიც.[30] გასული საუკუნის 70-იან წლებში იყო სრულიად საფუძველსმოკლებული და წარუმატებელი მცდელობა, სახელი Barzimeres-ის გერმანულ სამყაროსთან დაკავშირებისა.[31] ბოლოს, ნ. ლენსკიმ, მარკვარტზე დაყრდნობით, გაიზიარა მოსაზრება Barzimeres-ის შესაძლო ქართველობის შესახებ.[32]

ს. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის საინტერესო ვარაუდი, რომლის თანახმადაც, ბუზმირ/ბარზიმირესის სიკვდილის შემდეგ, სკუტარიების ტრიბუნობა ბაკურს მიენიჭა,[33] რაც, ჩემი აზრით, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ როგორც რომის იმპერიის სამხედრო ისტორიის ცნობილი მკვლევარი, დევიდ ვუდსი (David Woods) აღნიშნავს, IV საუკუნის 70-იანი წლებისთვის აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ეთნიკური პრინციპით დაკომპლექტებული ორი Schola palatina არსებობდა: სპარსული schola scutariorum clibanariorum, შემდგარი მძიმედ შეჯავშნული კავალერისტებისგან და იბერიული/ქართული schola scutariorum sagittariorum, შემდგარი მშვილდოსანი კავალერისტებისაგან.[34] საქმე ისაა, რომ ბაკურის შემდეგ, 395/399 წლებში, ამ იბერიული schola-ს ტრიბუნად ჩანს ქართველი სუბარმახიოსი. მის შესახებ ერთადერთ ისტორიულ ცნობას გადმოგვცემს ევნაპიუს სარდელი, რომელიც, თავის მხრივ, სვიდას ლექსიკონმა შემოინახა: „ის იყო მეფური სისხლის, წმინდა კოლხი, ფასისისა და თერმოდონის გაღმიდან“.[35] "His description as a pure Colchian from beyond Phasis raises the possibility that he was an Iberian," – წერს დ. ვუდსი და ასკვნის, რომ ჯერ ბაკურისა და შემდეგ სუბარმახიოსის schola scutariorum

29 წერეთელი, 20.

30 Helmut Humbach, "Variagnes und Barzimeres", *Germania,* 46, 2 (1968): 321.

31 Manfred Waas, *Germanen im Römischen Dienst im 4. Jahrhundert nach Christus* (Bonn: Habelt 1971) 91; Adolf Lippold, Review on "The Prosopography of the Later Roman Empire. vol. 1: A. D. 260-395 by A. H. M. Jones, J. R. Martindale, J. Morris", *Gnomon* 46. Bd., H. 3 (May, 1974): 270.

32 "To judge by their names, Danielus and Barzimeres were of Ibero-Armenian origin, and Ammianus makes it clear that their familiarity with the terrain helped them outmaneuver Pap. On Danielus's (south Armenian?) and Barzimeres's (Iberian?) origins" – Noel Lenski, *Failure of Empire. Valens and the Roman State,* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2003), p. 179, n. 145; Markwart, Südarmenien..., 139–40 nn. 2–3.

33 ყაუხჩიშვილი, 92

34 Woods, 365-371.

35 მთლიანი ცნობა იხ.: ყაუხჩიშვილი 1961, 166-167. PLRE, II, A.D. 395-527, Cambridge, 1980, 1037.

sagittariorum-ის ტრიბუნის თანამდებობაზე ყოფნა მიუთითებს ამ schola-ს და იბერიის სამეფო სახლს შორის პირდაპირ კავშირზე.[36] ზემოთქმული დამაჯერებელს ხდის მარკვარტის აზრს, რომ ბარზიმირესი უნდა ყოფილიყო პეტრე იბერის პაპა მამის მხრიდან, ანუ ქართლის სამეფო სახლის წარმომადგენელი. აქედან გამომდინარე კი ებმება ლოგიკური ჯაჭვი: მიუხედავად რომის სამხედრო სამსახურში ხანგრძლივი (9-10 წელი) ყოფნისა, ბაკური სკუტარიების ტრიბუნი ხდება მხოლოდ ბარზიმერესის სიკვდილის (377 წ.) შემდეგ, რადგან ის ამ წოდებით ჩანს მხოლოდ 378 წელს, ადრიანოპოლის ბრძოლის ამბების აღწერის დროს, ხოლო ბაკურის შემდეგ ამავე schola-ს ტრიბუნი ხდება სუბარმახიოსი. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, ბაკურის პალესტინის დუქსად დანიშვნის შემდეგ ვინ ხელმძღვანელობდა ამ schola-ს 395 წლამდე, მაგრამ დ. ვუდსის ვარაუდით, ის შეიძლებოდა ყოფილიყო კიდევ ერთი ქართლის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ფარასმანესი, რომელიც 395-404 წლებში აღმოსავლეთ რომის საიმპერატორო კარზე magister militum-ის რანგში მსახურობდა[37]. შესაბამისად, სკუტარიების ტრიბუნების ქრონოლოგია ასე შეგვიძლია აღვადგინოთ: ბარზიმერესი 374 (?) – 377, ბაკურიუსი 377/378 – დაახლ. 380, ფარასმანესი (?) – დაახლ. 380-395, სუბარმახიოსი – 395/399 წლები.

როგორც ზემოთ ითქვა, ადრიანოპოლის ბრძოლაში იმპერატორ ვალენსის სიკვდილის შემდეგ, თეოდოსი დიდის გამეფებისთანავე, იწყება ბაკურის კარიერული აღმასვლა: ის ინიშნება პალესტინის დუქსად, შემდეგ კი დომესტიკოსთა კომსად. რომ არა თეოდოსის და ბაკურის მეგობრობა (რასაც რუფინუსი აღნიშნავს), ძნელია ასეთი რამ წარმოვიდგინოთ. არაკეთილისმსურველებს იმპერიისთვის საბედისწერო ადრიანოპოლის ბრძოლის წაგებაზე პასუხისმგებლობა, იმპერატორის სიკვდილის ჩათვლით, სრულიად შესაძლებელია, სხვა გარემოებებთან ერთად, ბაკურისთვისაც დაეკისრებინათ და მართლაც, მარცელინუსი ასე აღწერს ბრძოლის გადამწყვეტ, დასაწყის ფაზას და მასში ბაკურის როლს: „მშვილდოსნები და ფაროსნები, რომელთაც მაშინ ვინმე ბაკურ იბერიელი სარდლობდა და კასიონი, ფიცხი იერიშით უფრო თავშეუკავებლად გაიჭრნენ წინ და უკვე მტრებს შეებნენ; მაგრამ რაკი უდროო დროს გაიჭრნენ წინ, ასევე უშნო (ლათ. iners შეიძლება ითარგმნოს ასევე, როგორც უნიჭო, მხდალი, სამარცხვინო; ნ.ნ.) უკან დახევით ბრძოლის დასაწყისი წაახდინეს."[38] აი, ამ ვითარებაში, როდესაც ადრიანოპოლის ბრძოლიდან სულ რაღაც 6 თვე იყო გასუ-

36 Woods, 365-371.

37 Woods, 368

38 Amm. Marc. 31. 12. 16. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 1, თბ., 1961, 144.

ლი, ახალი იმპერატორის მხრიდან ბაკურის სწრაფი დაახლოვება, დაწინაურება და მისდამი გამოცხადებული დიდი ნდობა, უცნაურად ჩანს და ამიტომაც ეს ფაქტი, ჩემი აზრით, მათ ძველ მეგობრობაზე უნდა მიუთითებდეს, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ თეოდოსის ტახტზე ასვლამდე შეიძლებოდა ჩაჰყროდა.

სად შეიძლებოდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ბაკური და თეოდოსი და როდის უნდა დაწყებულიყო მათი მეგობრობა? თუ უფრო ადრე არა, მათი გზები ბრიტანეთში უნდა გადაკვეთილიყო. სამწუხაროდ, არაფერია ცნობილი არც თეოდოსი იმპერატორისა და არც მისი მამის, თეოდოსი უფროსის ცხოვრებაზე 368 წლამდე. ვიცით მხოლოდ, რომ ისინი წარმოშობით ესპანური არისტოკრატიული – პატრიციანული – ოჯახიდან იყვნენ; უმცროსი თეოდოსი კი ქალაქ კაუკაში (ლათ. Cauca, დღევანდელი Coca სეგოვიაში) დაბადებულა.[39] ვიცით ზოგადად, რომ ახალგაზრდა თეოდოსიუსი ზაფხულობით თან ახლდა ხოლმე მამას სამხედრო ბანაკებში და საომარ ხელოვნებას ეუფლებოდა,[40] მაგრამ სად, იმპერიის რომელ ნაწილებში, უცნობია.

ვალენტინიანე I-ისა და ვალენტის საიმპერატორო ტახტზე ასვლის შემდგომ, შესაბამისად – 364 წლის თებერვალსა და მარტში, ძმები, იმავე წლის ივნისში ქ. ნიშის (ლათ. Naissus, ბერძ. Ναϊσσός. დღევანელ სერბეთში) ახლოს მდებარე ერთ-ერთ ვილაში შეიყარნენ და იმპერია გაიყვეს: გაიყვეს ლეგიონები და მათი სარდლები, ბიუროკრატია და, რა თქმა უნდა, ტერიტორიები. ვალენტის შეხვდა ეგვიპტე, ბითინია და თრაკია; ხოლო ვალენტინიანეს დარჩა ილირია, იტალია, ტრანსალპური პროვინციები, ესპანეთი, ბრიტანეთი და ლიბია.[41] თითქოსდა, ძმებმა თანაბრად გაყვეს ძალაუფლება – ორივე დამოუკიდებელი იყო თავიანთ კუთვნილ ტერიტორიებზე, მაგრამ იმპერიის ოფიციალური პროპაგანდა ვალენტინიანეს უზენაესობას ყველგან უსვამდა ხაზს, სადაც ეს შესაძლებელი და საჭირო იყო.[42] ჩვენ არ ვიცით, თეოდოსი უფროსი და მისი ძე, მომავალი იმპერატორი თეოდოსი, ამ გაყოფის დროს რომელ მხარეს დარჩნენ, ამ ამბებთან დაკავშირებულ გენერალთა ჩამონათვალში უფროსი თეოდოსი არცერთ მხარეს არ იხსენიება. მხოლოდ 367 წლის ზაფხულიდან ჩნდება ის დასავლელი იმპერატორის, ვალენტინიანე I-ის სამსახურში. ამ დროს იმპერა-

39 Zos. IV, 24, 4; Socr. V, 2; Sozom. VII, 2; Theod. V, 5; PLRE, I, pp. 902-905, Flavius Theodosius 3, Flavius Theodosius 4.

40 Panegyrici Latini, II.8.1; Meaghan McEvoy, *Child emperor rule in the late Roman West, AD 367-455* (New York and Oxford: Oxford University Press, 2014): 106.I

41 Lenski, 26-27. AM 26.4.3.

42 Lenski, 23-34; Roger Tomlin, "Seniores-Iuniores in the Late-Roman Field Army", *The American Journal of Philology* 93, no. 2 (April 1972): 253-278.

ტორს საგანგაშო ცნობები მოუვიდა ბრიტანეთიდან: ბარბაროსი პიქტები, ატაკოტები და სკოტები გადმოვიდნენ რომის კონტროლს ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, მოკლეს დუქსი და სანაპირო დაცვის კომსი და დაუსჯელად არბევდნენ ბრიტანეთს (ეს მოვლენა სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია როგორც barbarica conspiratio). ვალენტინიანემ ჯერ დომესტიკოსთა კომსი სევერუსი გააგზავნა იქაური ამბების მოსაგვარებლად, შემდეგ კი იოვინუსი, კავალერიის მაგისტრი (Magister Equitum), მაგრამ რადგან კუნძულიდან სულ უფრო და უფრო საგანგაშო ხმები მოდიოდა, მალევე, ჯერ პირველი იქნა უკან გამოძახებული და შემდეგ – მეორეც. ამჯერად, მთელი იმედები თეოდოსი უფროსზე შეჩერდა (იმ დროს, comes rei militaris ხარისხში[43]), როგორც იმ დროისთვის უკვე „სახელოვან მხედართმთავარზე“[44] და „თავისი საბრძოლო გმირობებით ცნობილ“ ადამიანზე,[45] თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უცნობია, თუ სად მოიხვეჭა მან ასეთი სახელი, რომელ ბრძოლებში და იმპერიის რომელ ნაწილში. მასზე პირველი ცნობები კლასიკურ ისტორიოგრაფიაში სწორედ barbarica conspiratio-სთან დაკავშირებით ჩნდება.

ამიანუს მარცელინუსის ცნობებზე დაყრდნობით, თეოდოსის ბრიტანული კამპანიის დაწყების ტრადიციულ თარიღად მიღებულია 368 წლის გაზაფხული, რომელიც 369 წლის ბოლომდე უნდა გაგრძელებულიყო. ეს კი ის პერიოდია (მხედველობაში მაქვს 368 წლის გაზაფხული), როდესაც ბაკურ იბერიელი უკვე ვალენტის კარზეა და protector domesticus-ის საპატიო წოდება აქვს მინიჭებული. R. Tomlin-ის მიერ ბრიტანეთის კამპანიის თარიღის 367-368 წლებზე გადატანის მცდელობის[46] არადამაჯერებლობა კარგად წარმოაჩინა R. Blockley-მ,[47] შესაბამისად, 368 წლის გაზაფხული – 369 წელი ძალაში რჩება. ამ კამპანიის დროს, მომავალი იმპერატორი თეოდოსიც, მამამისთან ერთად, ბრიტანეთში იყო და საბრძოლო მანევრებში მონაწილეობდა.[48]

თეოდოსი უფროსმა ბრიტანეთში აღკვეთა ბარბაროსთა რაზმების თარეში და დისციპლინა დაამყარა როგორც არმიაში, ისე – სამოქალაქო მმართველობაში. 369 წლის ბოლოს, რაკი პროვინცია უკვე

43 Pierre Maraval, *Théodose le Grand (379-395). Le pouvoir et la foi,* (Paris: Fayard, 2009) 29; Gerard Friell, Stephen Williams, *Theodosius* (The Empire at Bay, Roman Imperial Biographies) (Londres, B. T. Batsford, 1994) 10.

44 Amm. Marc. 28. 3. 1.

45 Amm. Marc. 27. 8. 3.

46 Roger Tomlin, "The Date of the 'Barbarian Conspiracy', *Britannia,* vol. 5, (1974): 303-309.

47 Roger Charles Blockley, "The Date of the 'Barbarian Conspiracy", *Britannia,* vol. 11, (1980): 223-225.

48 Zosim. IV. 35. 3; Friell, Williams, 10.

ბრწყინვალე მდგომარეობაში იყო, მან ბრიტანეთი დატოვა. მანამდე კი გაამაგრა სასაზღვრო პოსტები, ქალაქები და ციხე-სიმაგრეები და, მათ შორის, ადრიანეს კედელიც,[49] სადაც 1895 წელს, საფორტიფიკაციო კომპლექს ესიკას / Aesica გათხრებისას BACVRA / ბაკურის პირველი წარწერა იქნა ნაპოვნი.

თუ როგორ უნდა მოხვედრილიყო ახალგაზრდა იბერიელი უფლისწული ბაკური თეოდოსის ბრიტანულ კამპანიაში, ამას ალბათ ვეღარასოდეს გავიგებთ და მხოლოდ ლოგიკური ვარაუდით უნდა შემოვიფარგლოთ: შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვალენტინიანესა და ვალენსის მიერ ძალაუფლების გაყოფის შემდეგ, თეოდოსი უფროსი და მისი ვაჟი თეოდოსი, ვალენტის კარზე დარჩნენ, მაგრამ, რადგან ბრიტანეთში გამწვავებულ სიტუაციას ჯერ სევერუსი და შემდეგ იოვიანუსი ვერ გაუმკლავდნენ, ვალენტინიანე I-მა, როგორც უფროსმა იმპერატორმა, აღმოსავლეთიდან დასახმარებლად გამოიძახა „საბრძოლო გმირობებით ცნობილი სახელოვანი მხედართმთავარი" თეოდოსი (მართალია, ვალენტიც ფორმალურად საომარ ვითარებაში იმყოფებოდა გოთებთან, მაგრამ, რეალურად, დუნაისპირეთში რაიმე მნიშვნელოვან საბრძოლო მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია). ჩემი აზრით, მომავალ იმპერატორ თეოდოსისა და ბაკურს, სწორედ აღმოსავლეთ იმპერატორის კარზე უნდა გაეცნოთ ერთმანეთი და იქვე უნდა დამეგობრებულიყვნენ, რის შემდეგაც, ბაკური თეოდოსის ბრიტანულ კამპანიაში წაჰყვა. არ არის გამორიცხული, რომ ახალგაზრდა ქართველი უფლისწულისა და ახალგაზრდა თეოდოსის (368 წელს ის 21 წლის იყო) დამეგობრებაში გარკვეული როლი შეასრულა მათმა წარმოშობამ დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერიებიდან.

დასასრულს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თუ ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბრიტანულ გრაფიტებოს BACVRA-ში IV საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ბაკურ იბერიელი იგულისხმება, მართალია, მაშინ ქართველი უფლისწულის ადრეული ბიოგრაფიის რეკონსტრუქციისთვის კიდევ ერთი დამატებითი მასალა გვაქვს. აქედან გამომდინარე მივიღებთ შემდეგს:

- ახალგაზრდა ბაკური უარს ამბობს ქართლის სამეფოს კუთვნილ ტახტზე (მიზეზები იხ. სტატიის დასაწყისში) და რომაულ სამხედრო სამსახურში მიდის, არა უგვიანეს 368 წლის მარტისა, protector domesticus-ის წოდებით;
- იმავე წელს აღმოსავლეთის იმპერატორის, ვალენტის კარზე

49 Amm. Marc. 28. 3. 1-9; David Álvarez-Jiménez, *Ammianus and Theodosius I concerning the Barbarica Conspiratio in: The Theodosian Age (A.D. 379-455) – Power, place, belief and learning at the end of the Western Empire* (Archaeopress, 2013): 73-84.

ბაკური გაიცნობს მომავალ იმპერატორ თეოდოსის და უმეგობრდება;

- 368 წლის გაზაფხულზე ბაკური უერთდება თეოდოსი უფროსის ბრიტანულ კამპანიას 369 წლის ბოლომდე;
- 369 წლის შემდეგ თეოდოსი უფროსი და მისი ვაჟი რჩებიან დასავლეთის იმპერატორის, ვალენტინიანე I-ის კარზე, ხოლო ბაკური ბრუნდება აღმოსავლეთის იმპერატორის, ვალენტის კარზე;
- 370-377 წლები – ლაკუნა ბაკურის ბიოგრაფიაში;
- 377 წელს ტრიბუნ ბარზიმირესის (დიდი ალბათობით პეტრე იბერის პაპა, მამის მხრიდან) გოთებთან ბრძოლაში სიკვდილის შემდეგ ბაკური იღებს Schola-ს ტრიბუნის წოდებას;
- 378 წლის 9 აგვისტოს ბაკური მონაწილეობს ადრიანოპოლის ბრძოლაში და ბრძოლის დასაწყისში მისი ტაქტიკური შეცდომა წყვეტს ბრძოლის საბოლოო ბედს, რომაელებისთვის და პირადად იმპერატორ ვალენტისთვის ტრაგიკული დასრულით;
- 379 წლის 19 იანვარს აღმოსავლეთ იმპერიის ტახტს იკავებს თეოდოსი I დიდი, ბაკურის მეგობარი, და მიუხედავად ადრიანოპოლის ბრძოლაში დაშვებული საბედისწერო შეცდომისა, იწყება ბაკურის ცხოვრების ახალი ეტაპი და სწრაფი კარიერული ზეაღსვლა.

დამოწმებანი

ადიშის ოთხთავი. ზურაბ სარჯველაძის რედაქციით. თბილისი: საქართველოს მაცნე, 2003.

ანდრონიკაშვილი, მზია. *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1966.

„ბაკურა“. *პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით*, I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბილისი: მეცნიერება, 1991, 382-84.

დანელია, კორნელი და ზურაბ სარჯველაძე. *ქართული პალეოგრაფია*, თბილისი: ნეკერი, 1997.

კირთაძე, დარეჯან. *საკუთარი სახელი ქართულ ორიგინალურ აგიოგ-*

რაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში (V-X სს.), ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009.

მარტიროსოვი, არამ. „კნინობითი სახელები ძველ ქართულში", *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,* XX, (1978): 108-118.

ნიკოლოზიშვილი, ნიკოლოზ. „თემისტიოსი და ბაკურ იბერიელის რომაული სამხედრო კარიერის დასაწყისი", *ქართული წყაროთმცოდნეობა* XII, (2010): 123-138.

სარჯველაძე, ზურაბ. *ძველი ქართული ენა*, თბილისი: საქართველოს მაცნე, 2004.

ფეიქრიშვილი, ჟუჟუნა. „ალერსობით-კნინობითი სახელების შესწავლის ისტორიისათვის", *ქართველური მემკვიდრეობა* IX, (2005): 352-356.

ყაუხჩიშვილი, სიმონ. რედ. *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ,* ტ. 1, 91. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961.

შანიძე, აკაკი. *ძველი ქართული ენის გრამატიკა*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976.

შანიძე, აკაკი. *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973

წერეთელი, გიორგი. *უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან*, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.

ჯიქია, მარიკა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის ანთროპონიმია", *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* VII (2013): 64-72.

Álvarez-Jiménez, David. Ammianus and Theodosius I concerning the Barbarica Conspiratio. In *The Theodosian Age (A.D. 379-455) – Power, Place, Belief and Learning at the End of the Western Empire* (Archaeopress, 2013).

Blockley, Roger Charles. "The Date of the 'Barbarian Conspiracy'", *Britannia* 11 (1980): 223-225.

Collingwood, Robin George and Wright Richard Pearson. *The Roman Inscriptions of Britain*, vol. II, Instrumentum Domesticum (Personal Belongings and the Like). Fascicule 7, Graffiti on Samian Ware (Terra Sigillata) (RIB 2501), Oxford: Clarendon Press, 1995.

Frey, Martin. Die letzten Reliefsigillaten aus Trier und ihre Zeitstellung. In *Forschungen zur römischen. Keramikindustrie, Produktions-, Rechts- und Distributionsstrukturen,* Akten des 1, ed. K. Strobel, *Trierer Symposiums zur antiken Wirtschaftsgeschichte, Trierer historische Forschurigen 42*, Mainz, 2000.

Friell, Gerard and Williams Stephen. *Theodosius* (The Empire at Bay, Roman Imperial Biographies), Londres, B. T. Batsford, 1994.

Fülle, Gunnar. *The Organization of Mass Production of Terra Sigillata in the Roman Empire: Problems of Evidence and Interpretation*. A thesis submitted in fulfillment of the degree of Doctor of Philosophy, University of Oxford, Brasenose College, Trinity Term, 2000.

General index to the publications of the Society of antiquaries of Newcastle-upon-Tyne, from A.D. 1895 to A.D. 1924. Society of Antiquaries of Newcastle upon Tyne, 1925.

Gibson, J. P. "On Excavations at Great Chesters (Aesica) in 1894, 1895, and 1897". *Archaeologia Aeliana*, 2nd series, 24, (1903): 19-62.

Hoffmann, Dietrich. "Wadomar, Bacurius und Hariulf, Zur Laufbahn adliger und fürstlicher Barbaren im spätrömischen Heere des 4. Jahrhunderts". *Museum Helveticum* Bd 35, 4 (1978): 307-318.

Humbach, Helmut. "Variagnes und Barzimeres", *Germania*, 46, 2 (1968): 320-321.

Huyse, Philip. Iranische Namen in den griechischen Dokumenten Aegyptens. *Iranisches Personennamenbuch*, Band V, Faszikel 6a, Wien: Verlag der Osterreichischen Akademie der Wissenschaften, 1990.

John Rufus. *The Lives of Peter the Iberian, Theodosius of Jerusalem, and the Monk Romanus,* edited and translated by Cornelia B. Horn. Society of Biblical Literature, Atlanta, 2008.

Lenski, Noel. *Failure of Empire. Valens and the Roman State*, Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2003.

Lippold, Adolf. Review of The Prosopography of the Later Roman Empire, vol. 1: A. D. 260-395 by A. H. M. Jones, J. R. Martindale, J. Morris", *Gnomon* 46. Bd., H. 3 (May, 1974): 268-273.

Maraval, Pierre. *Théodose le Grand (379-395), Le pouvoir et la foi*, Paris: Fayard, 2009.

Markwart, Josef. 1931. "Die Bekehrung Iberiens und die beiden ältesten Dokumente der iberischen Kirche", *Caucasica* 7 (1931): 127. მითითებულია ს. ყაუხჩიშვილის და გ. წერეთლის მიხედვით: ყაუხჩიშვილი, სიმონ, რედ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 1, 91. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961.

Markwart, Josef. Südarmenien und die Tigrisquellen nach griechischen und arabischen Geographen, *Studien zur armenischen Geschichte* 4, Wien: Mechitharisten-Buchdruckerei, 1930.

Martindale, John Robert, Arnold Hugh Martin Jones and John Morris. eds.

The Prosopography of the Later Roman Empire (PLRE), Volume I, A.D. 260-395. Cambridge: Cambridge University Press, 1971.

Martindale, John Robert, Arnold Hugh Martin Jones and John Morris. eds. *The Prosopography of the Later Roman Empire* (PLRE), Volume II: A.D. 395–527. Cambridge: Cambridge University Press, 1980.

McEvoy, Meaghan. *Child Emperor Rule in the Late Roman West, AD 367-455*, New York and Oxford: Oxford University Press, 2014.

Newstead, Robert. "Records of Archaeological Finds". *Journal of Chester Archaeological Society*, vol. 36 (ii) (1948): 49-153.

Oswald, Felix and Pryce Thomas Davies. *An Introduction to the Study of Terra Sigillata Treated from a Chronological Standpoint*. London, New York: Longmans, Green and Co., 1920.

Petrus der Iberer. ein Charakterbild zur Kirchen und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts. *Syrische Übersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie.* Herausgegeben und übersetzt von Richard Raabe. Lepzig, 1895.

Proceedings of the Society of Antiquaries of Newcastle-Upon-Tyne, vol. VII (January, 1895-December, 1896). Society of Antiquaries of Newcastle upon Tyne, 1897.

Schiaparelli, Luigi. *La scrittura latina nell' età romana (note paleografiche),* Como: Tipografia editrice Ostinelli, di C. Nani & c., 1921.

Tomlin, Roger. "The Date of the 'Barbarian Conspiracy", *Britannia* 5, (1974): 303-309.

Tomlin, Roger. "Seniores-Iuniores in the Late-Roman Field Army", *The American Journal of Philology* 93, no. 2 (April 1972): 253-278.

Thompson, Edward Maunde, *An Introduction to Greek and Latin Palaeography*, Oxford: Clarendon Press, 1912.

Van Hoesen, Henry Bartlett. *Roman Cursive Writing*, Princeton: Princeton university press, 1915.

Vanhoutte, Sofie, Wouter Dhaeze and Wim De Clercq. "The pottery consumption c AD 260-70 at the Roman coastal defence fort, Oudenburg, Northern Gaul", *Journal of Roman Pottery Studies* 14 (July 21, 2009): 95-141.

Waas, Manfred. *Germanen im Römischen Dienst im 4. Jahrhundert nach Christus*, Bonn: Habelt, 1971.

Woods, David. "Subarmachius, Bacurius, and the Schola Scutariorum Sagittariorum", *Classical Philology* 91, no. 4 (October 1996): 365-371.

Wright, Richard Pearson. "Roman Britain in 1939: I. Sites Explored: II. Inscriptions", *The Journal of Roman Studies* 30, Part 2 (1940): 155-190.

Zadok, Ran. Old Iranian Anthroponyms and Related Material in Late Babylonian Sources, *Revue d'assyriologie et d'archéologie orientale* 98 (2004): 109-120.

Zadok, Ran. *Review of Huyse, Ph. 1990. Iranische Namen in den griechischen Dokumenten Aegyptens.* Iranisches Personennamenbuch, Band V, Faszikel 6a, Wien: Verlag der Osterreichischen Akademie der Wissenschaften, 1990.

აბსტრაქტი
ABSTRACT

Nikoloz Nikolozishvili
Independent Researcher, PhD in History

Who is BACVRA Mentioned in British Epigraphic Sources?

The surviving information about Bacurius the Iberian, an important Georgian figure known to historiography from late antique Greco-Roman sources, is valuable but fragmentary. The main goal of this article is to reconstruct, based on British epigraphic sources, a certain period from Bacurius' life (368-378 AD) and his connections with the Roman military and political elite of that time.

During the archaeological excavations of a Roman fort on Hadrian's Wall in Aesica (nowadays Great Chesters) in 1895, a fragment of terra sigillata bowl inscribed with a Latin graffito 'BACVRA' was discovered at the County of Northumberland, Northeast England. A well-known researcher of Roman inscriptions of Britain, Richard Wright suggests its connection with the Latin form of a Georgian name Bacur/Bakur (lat. Bacurius). In 1938, a fragment of an East Gaulish terra sigillata ceramic pot of Dr.37 form, with an analogical inscription 'BACVRA' was found in another Roman town-fortress of England, Deva (nowadays Chester). According to the archaeological data, the ceramic fragments found in Deva and Aesica should date from the mid to the late 3rd century AD, although according to paleographical characteristics, the graffiti can be dated to the 4th century AD.

BACVRA should be a diminutive of Georgian 'Bacur'. '-a' is one of the most common diminutives suffixes both in old and modern Georgian. The author of this article believes that these inscriptions should belong to Bacurius the Iberian, a contemporary of the emperors Valens and Theodosius the Great, who appears in Greco-Roman sources between 368 and 394 as a high-ranking Roman military officer.

At the beginning of 368 AD, Bacurius the Iberian serves at the court of Emperor Valens as a *protector domesticus*. Bacurius and the future Emperor Theodosius must have met and become friends at the court of the Eastern Emperor. It was evidently after this fact that Bacurius appears in Britain, during general Theodosius' (father of the future emperor Theodosius the Great) British campaign from spring 368 to the end of 369 AD. The future emperor Theodosius also took part in his father's campaign to Britain and participated in military maneuvers.

Given these assumptions, the early biography of the Georgian prince can be reconstructed as follows:

– young Bacurius rejected his lawful right to the Georgian royal throne (the reasons are given at the beginning of this article) and went to serve in the Roman military as a *protector domesticus* instead, not later than March 368;

– the same year, at the court of the Eastern Emperor Valens, Bacurius gets acquainted with and befriends the future emperor Theodosius;

– in 368 Bacurius joins the British campaign of Theodosius the Elder, until the end of 369;

– after the year 369, Theodosius the Elder and his son stay at the court of the Western Emperor Valentinian I and Bacurius returns to the court of Eastern Emperor Valens;

– 370-377 AD – a gap in Bacurius' biography;

– 377 AD, after the death of tribune Barzimires (most probably the paternal grandfather of Peter the Iberian) in a battle against the Goths, Bacurius receives a title of the tribune of a Schola;

– on 9th August 378, Bacurius takes part in the battle of Adrianople, where his tactical mistake at the beginning of the battle led to a tragic outcome for the Romans and personally, for Emperor Valens;

– on 19th January 379, Bacurius' friend Theodosius I the Great becomes Emperor of the Eastern Empire, and regardless of the fatal mistake in the battle of Adrianople, this is the beginning of a new phase in Bakur's life and his fast career advancement.